

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაძლიერების პროგრამა

თაფლის ექსპორტის პერსპექტივები
ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის
შესახებ შეთანხმების ფარგლებში



შინაარსი

წინასიტყვაობა	3
დასკვნები და რეკომენდაციები.....	4
მეთოდოლოგია.....	10
თაფლის წარმოება აჭარაში (გამოკითხვის შედეგები).....	11
თაფლის ბაზარი ევროკავშირში	14
იმპორტის რეგულაცია ევროკავშირში	22
ზოგადი წინაპირობები.....	23
წარმოშობა, შემადგენლობა და ეტიკეტირება	24
თაფლში ნარჩენების მაქსიმალური ზღვარი (Maximum residue limits (MRLs)).....	28
თაფლის წარმოების ფინანსური ასპექტები.....	29
გამოყენებული ლიტერატურა	37

წინასიტყვაობა

ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების შემდეგ საქართველოში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის გაზრდის შესაძლებლობა სულ უფრო რეალური ხდება. გამონაკლისს არც თავლი წარმოადგენს, რომელიც გამოირჩევა საუკეთესო გემოვნური და ორგანოლეპტიკური მახასიათებლებით. აღნიშნული შესაძლებლობიდან გამომდინარე დღის წესრიგში დადგა თავლის წარმოების ჯაჭვის ანალიზი და გამოვლენილი დაბრკოლებების აღმოფხვის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარება.

სწორედ ამ მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გადაწყვიტა თავლის წარმოების ჯაჭვის დეტალური ანალიზი, რის შედეგადაც დაიგეგმება მიზნობრივი პროგრამები და საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც დარგის საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურად გაძლიერებას და ინვესტიციების მოზიდვას შეუწყობს ხელს. აჭარის მთავრობას სურს სექტორების ხელისშემწყობი ღონისძიებების მაქსიმალურად ობიექტური დაგეგმვა, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს ამგვარი კვლევების ჩატარებას, მომავალი აქტივობების უკეთესად განხორციელების მიზნით.

დასკვნები და რეკომენდაციები

ის, რომ ქართული თაფლი გამორჩეულია თავისი გემოვნური თვისებებით, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. გამონაკლისს ამ კუთხით არც აჭარაში წარმოებული თაფლი წარმოადგენს. განსაკუთრებით მაღალმთიან აჭარაში ხშირად შევხდებით მონოფლორული თაფლის სხვადასხვა სახეობას, რომელიც ეკოლოგიურად სუფთა გარემოში იწარმოება და განსაკუთრებული არომატი გააჩნია. გემოვნური მახასიათებლების მიუხედავად ხარისხის ცნება, დღეს არსებული რეალობიდან გამომდინარე, ძალიან სუბექტურია. სამწუხაროდ, მთელი ქვეყნის მასშტაბით არ ხორციელდება თაფლის ხარისხისა და უვნებლობის რეალური კონტროლი, რაც განპირობებულია შესაბამისი კანონმდებლობის არ ქონითა (დღემდე) და შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობით, კერძოდ, აკრედიტირებული ლაბორატორი(ებ)ით. ამ გარემოებებიდან გამომდინარე, რთული სათქმელია ხარისხის და უვნებლობის რა მაჩვენებლებით შეფასდება ქართული თაფლი საერთაშორისო ბაზარზე და კერძოდ, ევროკავშირის ქვეყნებში, სადაც საკმაოდ მკაცრი მოთხოვნები არსებობს თაფლისა და სხვა ცხოველური წარმოშობის პროდუქტების მიმართ. საქართველოში წარმოებული თაფლის მცირე ნაწილი შემოწმების მიზნით უკვე გაიგზავნა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, მაგრამ ამ ღონისძიებას კერძო სექტორი ვერ გაწვდება, ვინაიდან ეს პროცესი ძალიან ძვირი ჯდება (მაგალითისთვის, ერთი ნიმუშის ანალიზი ევროპაში 300-350 ევრო ჯდება). ევროკავშირი და გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია მოითხოვენ სახელმწიფო ლაბორატორიის საქართველოში შექმნას, რომელიც რეფერალური ფუნქციით მაინც იქნება აღჭურვილი.

მეორე საკითხი, რომელიც პირდაპირ კავშირშია პროდუქციის ხარისხთან და უვნებლობასთან, არის საკვებით და წარმოების მასალებით უზრუნველყოფა. დღეის მდგომარეობით აჭარა და შეიძლება ითქვას, მთელი საქართველო მთლიანად განიცდის ფუტკრის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებულ ცოდნის დეფიციტს. იგივე შეიძლება ითქვას ფუტკრის დაავადებებისგან დაცვაზე. 2013 წელს სურსათის

სააგენტოს მიერ ევროპულ ლაბორატორიებში გაგზავნილი 42 ნიმუშიდან 17-ში ანტიბიოტიკების ნარჩენები აღმოჩნდა. აჭარის ხუთივე მუნიციპალიტეტში გამოვლენილია სწავლული მეფუტკრეების დეფიციტი, რომლებსაც შეუძლიათ ფერმერების და მოყვარული მწარმოებლების სწავლება/კონსულტაცია. იგივე შეიძლება ითქვას რაიონული აგრონომების მისამართით. პროექტში ჩართული სპეციალისტებიდან არცერთი არ არის მეფუტკრე და უკეთეს შემთხვევაში ამ საქმით მოყვარულის დონეზე დაკავებული არიან ვეტერინარები, რომელთაც გააჩნიათ ცხოველების მოვლა-პატრონობის და ვეტ. მომსახურების გამოცდილება. ფუტკრის მედიკამენტებიც ვეტ. პრეპარატებში გადის და ზემოთ მოცემული ფაქტიც, ამით უნდა იყოს განპირობებული.

მესამე და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი არის ფასი და ფასწარმოქმნა. ამ მიმართულებითაც საკმაოდ რთულია ობიექტური დასკვნების გაკეთება იმის გათვალისწინებით, რომ თაფლის წარმოება ოჯახურ ბიზნესს არ სცდება და შესაბამისად, მასალების მიწოდებიდან დაწყებული, მზა პროდუქციის რეალიზაციით დამთავრებული, პროცესები არ ასახავს ორგანიზებულ ბიზნესს. შესაბამისად, მეთაფლე ფერმერებს უჭირთ წარმოების რეალური დანახარჯების დათვლა და სეზონური ფინანსური კალკულაციების გაკეთება, რაც, საბოლოო ჯამში, უარყოფითად აისახება პროდუქციის ფასწარმოქმნასა და რეალიზაციაზე. გაურკვეველია თაფლის წარმოების მინიმალური მასშტაბი, რაც აუცილებელია მომგებიანი ბიზნესის წარმოებისთვის და პროდუქციის შესაბამისი მოცულობების კონსოლიდაციისთვის.

მეოთხე საკითხი დაკავშირებულია წარმოების მასშტაბებთან და სარეალიზაციო არხებთან. კვლევის შედეგად დადგინდა რომ, წარმოების ძირითადი ნაწილი თავმოყრილია მცირე ზომის მეფუტკრეების (50-100 სკა) ხელში. მათი მოცულობებიდან გამომდინარე შეუძლებელია არამარტო საექსპორტო, არამედ ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილებაც კი, განსაკუთრებით ორგანიზებული ბაზრის, რომელიც პროდუქციის ხარისხის გარდა ითხოვს შესაბამის

შეფუთვას, ეტიკეტირებას და უწყვეტ მიწოდებას მთელი წლის განმავლობაში, რასაც მცირე ფერმერული მეურნეობა არსებული ინფრასტრუქტურის პირობებში ვერანაირად ვერ მოახერხებს. ადგილობრივი ბაზრის პირობებში ამას ემატება მარკეტინგული დანახარჯებიც, რომლებიც არათუ თაფლის მწარმოებელი, არამედ სხვა განვითარებულ სექტორებში მომუშავე ფერმერებისთვისაც ხელმიუწვდომელ ფუფუნებას წარმოადგენს. არსებული მასშტაბის პირობებში ცალკე აღებულ ფერმერს ამის გაკეთება არ შეუძლია, თუმცა აჭარაში მოქმედებს კონსოლიდატორი კომპანია „მაჭახელა“, რომელიც გარკვეულწილად ითავსებს პროდუქციის კონსოლიდაციის და დამატებითი ღირებულების შექმნის ფუნქციას. სწორედ ამგვარ მოდელზე უნდა გაკეთდეს მომავალში აქცენტი. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ კონსოლიდატორებს არ გააჩნიათ ორგანიზებული გაყიდვების გამოცდილება არამარტო საექსპორტო არამედ ადგილობრივ ბაზარზეც. მათი უმრავლესობა თანამშრომლობს საცალო ქსელებთან საკმაოდ მარტივი ფორმით. შეუიარაღებელი თვალისათვის ჩანს, რომ მარკეტინგის და გაყიდვების სტრატეგია არცერთ კონსოლიდატორს არა აქვს დეტალურად ჩამოყალიბებული. მეფუტკრეთა ნაწილს ასევე უჭირთ მომთაბარეობის ორგანიზება და განხორციელება. ერთი მხრივ, განსაკუთრებით მცირე მეურნეობისთვის ძვირი სიამოვნებაა ტრანსპორტირება და მასთან დაკავშირებული ხარჯები, ხოლო მეორე მხრივ, არსებობს ქვეყნის მასშტაბით ნარგავების გეოგრაფიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დეფიციტი, რაც ხელს უშლის მომთაბარეობის განვითარებას. საქართველოს და კერძოდ, აჭარის დონეზეც არ არსებობს ფენოლოგიური რუქა, სადაც დატანილი იქნება მცენარეების ნაირსახეობები, რომლებიც საკვებ ბაზად გამოიყენება თაფლის წარმოების დროს. ამ ქრილში არათუ აჭარაში, არამედ საქართველოს არცერთ კუთხეში არ ჩატარებული მცენარეული საფარის დეტალური ინვენტარიზაცია. შესაბამისად, დღეს არსებული რეალობიდან გამომდინარე შეუძლებელია ფუტკრის საკვები ბაზის მასშტაბების გათვლა და წარმოების დაგეგმვა.

დაბოლოს, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ საქართველოდან თაფლის ექსპორტს დიდი პოტენციალი გააჩნია, თუ ქართული მხარე ევროკავშირში დაწესებულ სტანდარტებს დააკმაყოფილებს. საგულისხმოა ისიც, რომ აღნიშნული სტანდარტების მიღწევის შემთხვევაში, ქართული თაფლი არამხოლოდ ევროკავშირში შევა, არამედ მისი რეალიზაცია თურქეთის ბაზარზეც გაადვილდება არსებული კვტის ფარგლებში, რომელიც დღეს 200 ტონას შეადგენს. ევროკავშირი თაფლის ერთ-ერთი მსხვილი იმპორტიორია (დაახ. 150 000 ტონა წლიურად) და ამ ბაზარზე მთავარ მოთამაშეებს ჩინეთი, არგენტინა და მექსიკა წარმოადგენენ. საქართველოსთვის რთული იქნება კონკურენცია გაუწიოს ასეთ დიდ ქვეყნებს პოლიფლორული (შერეული) თაფლის სეგმენტში, სადაც მისი თვითღირებულება თითქმის უტოლდება საბითუმო ფასს ევროპაში. თუმცა სხვა სიტუაციაა მონოფლორული თაფლის შემთხვევაში, რომელიც შეიძლება საქართველოს ნიშა გახდეს. მაგალითად, დიდია აკაციის თაფლზე მოთხოვნა, რომლის საბითუმო ფასი 5 ევროდან იწყება. საქართველოს, სავარაუდოდ, არ გაუჭირდება ევროპულ ბაზარზე ამ მიმართულებით საკუთარი ადგილის პოვნა, რაშიც დიდ როლს ქვეყნის ცნობადობაც ითამაშებს.

სწორედ ამ დასკვნებზე დაყრდნობით აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მოამზადა რეკომენდაციები, რომელთა ნაწილი ასახვას ჰპოვებს მიზნობრივ პროგრამებში და საკანონმდებლო ინიციატივებში. აჭარის მთავრობას დიდი იმედი აქვს ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი საერთაშორისო პროექტების და დონორი ორგანიზაციების, რომლებიც ასევე დაინტერესდებიან კვლევაში გამოთქმული წინადადებებით და გამოიყენებენ მას, როგორც გზამკვლევს მომავალი საქმიანობის დაგეგმვის პროცესში.

პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი არის თაფლის ხარისხის და უვნებლობის ანალიზი. დღეს არსებული რეალობიდან გამომდინარე, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აქვს საკმაოდ კარგად ორგანიზებული ლაბორატორიული ინფრასტრუქტურა, რომლის მცირედი გადაიარაღებით შესაძლებელი იქნება

დასავლეთ საქართველოში წარმოებული თაფლის მინიმუმ რეფერალური და მაქსიმუმ მასშტაბური კვლევა, როგორც ხარისხის, ასევე სურსათის უვნებლობის კუთხით. ეს გაუადვილებს ადგილობრივ მწარმოებლებს და ექსპორტიორებს პროდუქციის ორგანიზებულ რეალიზაციას და წარმოების მართვასთან დაკავშირებული საკითხების დროულ მოგვარებას. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით აღნიშნული ლაბორატორიის გადაიარაღებას უხეში გაანგარიშებით 1 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია დასჭირდება, რაც დასავლეთ საქართველოში არსებული საწარმოო სიმძლავრეების და წარმოებული პროდუქციის ღირებულებასთან შედარებით საკმაოდ მცირე ინვესტიციაა.

მეორე საკითხი, რაც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას საჭიროებს არის კვალიფიციური კადრების მომზადება. ამჟამად აჭარაში მოქმედი ENPARD-ის პროექტი ახორციელებს მეფუტკრე ფერმერების გადამზადების პროგრამას. აუცილებელია ამ პროგრამაში არამარტო ფერმერების, არამედ ექსტენციის მუშაკების ჩართვაც. საჭიროებიდან გამომდინარე რეკომენდირებულია წარმატებული მსმენელების საზღვარგარეთ სტაჟირებაზე გაგზავნა, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, რომელთაც გააჩნიათ მაღალი ხარისხის თაფლის წარმოების და რეალიზაციის გამოცდილება. გადამზადების დროს ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს მასალების შერჩევაზე, ფუტკრის კვებაზე და დაავადებებისგან დაცვაზე. აუცილებელია თანამედროვე პრეპარატების კატალოგის განახლება (სურსათის სააგენტოს პრეროგატივა) და მაღალი ხარისხის ვეტ. პრეპარატების მწარმოებლების ინფორმირება ქვეყანაში არსებული თაფლის ინდუსტრიის შესახებ. საკმაოდ საინტერესო იქნება მოტივირებული მეფუტკრეების საერთაშორისო გამოფენებზე ვიზიტით გაგზავნა, რა დროსაც შესაძლებელია საკმაოდ კარგი ბიზნეს-კავშირების დამყარება, როგორც მასალების მომწოდებლებთან ასევე სარეალიზაციო არხებთან.

ზემოთ უკვე აღინიშნა ნარგავების გეოგრაფიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დეფიციტი, რაც მომთაბარეობის ხელშემშლელი ფაქტორია. ამ პრობლემის მოგვარების ერთი გზა იქნება შესაბამისი ფენოლოგიური რუკის შექმნა, რომელზეც

დატანილი იქნება მთელი ქვეყნის მასშტაბით როგორც ერთწლიანი, ისე მრავალწლიანი ნარგავების განლაგება და კონცეფტრაცია. ასეთი რუკის არსებობა განსაკუთრებით დიდ როლს ითამაშებს მონოფლორული თაფლის მწარმოებელთათვის, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, შესაძლოა საქართველოდან საექსპორტო საქონლად იქცეს. აუცილებელია ამგვარი ინვენტარიზაციის ჩატარება რაც საფუძველს ჩაუყრის დარგის განვითარებას.

იდეალური მასშტაბის იდენტიფიცირების და წარმატებული მეფუტკრეობის ფერმის შექმნის მიზნით, აუცილებელია თაფლის წარმოების მოდელის დამუშავება, რაც გულისხმობს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი მინიმუმ ერთი ფერმერის ან ფერმერული გაერთიანების ჩამოყალიბებას, რომელიც როგორც წარმოების მასშტაბით, ასევე ინფრასტრუქტურით და ცოდნით იქნება აღჭურვილი. სწორედ ამ მოდელის მეშვეობით უნდა მოხდეს ინვესტორების სექტორით დაინტერესება და მყიდველებისთვის ქართული თაფლის გაცნობა. ეს მოდელი იქნება პრაქტიკული ცოდნის და გამოცდილების გაზიარების, ტრენინგების და ღია კარის დღეების ჩატარების ადგილი როგორც დამწყები, ასევე გამოცდილი მეფუტკრეებისთვის. ამ ფერმერულ მეურნეობაში მოხდება როგორც ტექნიკური ცოდნის, ასევე სამეწარმეო უნარების მობილიზაცია და თავმოყრა, რის გარეშეც წამოუდგენელია ქართული თაფლის საექსპორტოდ რეალიზაცია და ადგილობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

მას შემდეგ, რაც ქართული თაფლის ხარისხი ევროსტანდარტების დონეს მიაღწევს, გაადვილდება მისი ევროკავშირში მასიური ექსპორტი. ამისთვის საქართველო ევროპულმა სტრუქტურებმა ე.წ. მესამე ქვეყნების სიაში უნდა შეიყვანონ, საიდანაც ნებადართული იქნება თაფლის იმპორტი. ცნობილია, რომ საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობს შესაბამის ევროპულ ორგანიზაციებთან პროცესის დაჩქარებისთვის და არსებობს მოლოდინი იმისა, რომ 2015 წლისთვის საქართველო ზოგადად ამ სიაში მოხვდება და სასურველია, ეს რეგულაცია თაფლზეც გავრცელდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თაფლის ექსპორტი რთულ პროცედურებთან იქნება დაკავშირებული, ვინაიდან თითოეულ ექსპორტიორს დამოუკიდებლად

მოუწევს უამრავი არასატარიფო ბარიერის გადალახვა და ინდივიდუალური აღიარების მოპოვება.

მეთოდოლოგია

კვლევა, რომელიც PMC RC-ის დახმარებით აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ა(ა)იპ აგროსერვის-ცენტრის თანამშრომლების მონაწილეობით ჩატარდა, მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

- **ადგილობრივი წარმოების შესწავლა აჭარელი მეფუტკრეების გამოკითხვის გზით** - გულისხმობს აჭარის თითოეულ რაიონში 5 ყველაზე მსხვილი მეფუტკრის საქმიანობის შესწავლას, მათი გამოცდილების, კვალიფიკაციის და პრობლემების დადგენის მიზნით;
- **ევროპული ბაზრის შესწავლა** - გულისხმობს ევროკავშირში თავლზე არსებული მოთხოვნა/მიწოდების, ბაზრის მოთამაშეებისა და დისტრიბუციის არხების ანალიზს;
- **თავლთან დაკავშირებული ევროპული რეგულაციების შესწავლა** - მიზნად ისახავს იმ კრიტერიუმების იდენტიფიკაციას, რომელთა დაკმაყოფილება ევროპაში თავლის შეტანის შემთხვევაშია საჭირო;
- **ფინანსური ანალიზი** - გულისხმობს აჭარული თავლის თვითღირებულების დადგენასა და მეურნეობის ოპტიმალური მასშტაბების განსაზღვრას, რომლის მიღწევის შემთხვევაში ქართული თავლი იქნება კონკურენტული ევროპულ ბაზარზე;
- **დასკვნები და რეკომენდაციები** - გაკეთდა მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე

თაფლის წარმოება აჭარაში (გამოკითხვის შედეგები)

ჩატარებულმა გამოკითხვამ, რომელშიც 30 მსხვილი მეფუტკრე მონაწილეობდა, შესაძლოა არა ზუსტი, მაგრამ დაახლოებითი სურათი მაინც შექმნა აჭარაში თაფლის წარმოებასთან დაკავშირებით, რომელიც საკმაოდ განვითარებულია რეგიონის ყველა კუთხეში. გამოიკვეთა, რომ მეფუტკრეთა შორის არიან როგორც ახალბედები (საქმიანობის დაწყების წელი 2007), ისე გამოცდილები, რომელთა ოჯახებში ეს პროფესია თაობიდან თაობებს გადაეცემა (საქმიანობის დაწყების წელი 1960).

გამოკითხულთა უმრავლესობა აკაციისა და წაბლის თაფლს აწარმოებს, თუმცა ყველაზე დიდი ნაწილი მაინც შერეულ თაფლზე აკეთებს აქცენტს. მათ შორის რამოდენიმე ასევე ყიდის ფუტკრის რძესა და სანთელს.

დედა-ფუტკრის რეალიზაციით 30 გამოკითხულიდან მხოლოდ 7-ია დაკავებული და მათი დიდ ნაწილს ფუტკრის 100 ოჯახზე მეტი გააჩნია. ფუტკრის ოჯახების რაოდენობა კი, შემდეგნაირად გადანაწილდა:

ოჯახების რაოდენობა	მეფუტკრე
10-50	9
50-100	12
100-200	8
200 და მეტი	2

ერთმანეთისგან განსხვავებული შედეგები მივიღეთ პროდუქტიულობასთან დაკავშირებით. მაშინ როცა რამოდენიმე გამოკითხულმა ფუტკრის ერთი ოჯახის წლიური წარმადობა 35-40 კგ დაასახელა, იყვნენ ისეთები ვინც ეს მაჩვენებელი 10 კგ-ით შეაფასა. გამოკითხულთა უმრავლესობა ოჯახის პროდუქტიულობას საშუალოდ 20 კგ-ით აფასებს. ეს კი საკმაოდ დაბალი რიცხვია მსოფლიო მაჩვენებლებთან შედარებით, სადაც წარმატებული მეფუტკრეების წლიური წარმადობა 1 ოჯახზე

საშუალოდ 35 კგ-ია. ასეთი მაჩვენებელი ინტერვიუში 9 მეფუტკრემ დააფიქსირა. შესაბამისად განსხვავებულია წარმოების წლიური მაჩვენებელიც, რომელიც იწყება 300 კგ-ით და აღწევს 6 ტონას. მეფუტკრეებმა ასევე უპასუხეს კითხვას იმაზე, თუ რა მასშტაბების მიღწევა შეეძლოთ მათ, თაფლის რეალიზაციის პრობლემის არარსებობის შემთხვევაში. უმრავლესობა საკუთარ მეურნეობის მასშტაბებს ფუტკრის 200-300 ოჯახამდე გაზრდიდა, ასეთი პირობების არსებობის შემთხვევაში.

კითხვარი ასევე შეიცავდა ტექნიკური კითხვებს, რომლებიც თაფლის წარმოებას უკავშირდება. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა უღალობის დროს ფუტკარს შაქრითა და სიროფით კვებავს. მხოლოდ მცირე მათგანმა უპასუხა, რომ ხელოვნური კვებისთვის თაფლს იყენებს.

ასევე განსხვავებული სურათი მივიღეთ რესპოდენტების მიერ საკუთარი შრომის გამოკლებით თაფლის თვითღირებულების შეფასების კუთხითაც. მხოლოდ 3-მა მათგანმა უპასუხა, რომ თვითღირებულება 3 ლ-მდეა, დანარჩენებმა კი ის 4-15 ლარით შეაფასეს. ასეთი განსხვავებული შედეგი იძლევა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იმაზე, რომ ხშირად მეფუტკრეები ხარჯებს არ აღრიცხავენ ადეკვატურად.

შედარებით ერთგვაროვანი სურათი დაფიქსირდა თაფლის სარეალიზაციო ფასთან მიმართებაში. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ მისი საბითუმო ფასი დაახ. 15 ლარია (აჭარის მთიან ნაწილში 12 ლ.), ხოლო საცალო კი 20 ლარს უახლოვედება (შესაბამისად 15 ლ.).

გამოკითხვამ აჩვენა, რომ აჭარელი მეფუტკრეების დიდი უმრავლესობა არ ამოწმებს საკუთარ თაფლს ლაბორატორიულად. შესაბამისად, მათთვის უცხოა ისეთი პარამეტრები, როგორცაა ტენიანობა კონცეტრირებულ თაფლში, წყალში უხსნადი მინარავები, საქაროზის მასური წილი, პესტიციდების დარადიონუკლიდების შემცველობა და სხვ.

რესპოდენტებმა ასევე ჩამოთვალეს ის მედიკამენტები, რომლებსაც ისინი დაავადებების წინააღმდეგ ან პროფილაქტიკისთვის იყენებენ, კერძოდ:

ვაროაკომი, ვარადოზი, ურაცემიდი, კაზიმაქსი, სტრუპდოციტი, ნეზემანტინი, ტეტრაციკლინი, ვიტამინფორმულექს, აროპოლოვიტი, ვაროსტოპი, მავრიკინი, ბიპინიკი, აპიმაქსი, ლარაკოზი, ფუმოდილი, ასკო და რულამიტი.

აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილი პრეპარატების უმრავლესობა არ არის რეგისტრირებული ევროკავშირში და შესაბამისად, მათი გამოყენება ამ ქვეყნებში აკრძალულია.

ბოლო კითხვა განვითარებისთვის ხელშემშლელ ფაქტორებს ეხებოდა, რომელზეც, როგორც მოსალოდნელი იყო, მეფუტკრეებმა განსხვავებულად უპასუხეს. თუმცა გამოიკვეთა რამოდენიმე პრობლემა, რომელიც თითქმის ყველა მათგანს აწუხებს:

- რეალიზაციის სირთულე
- ლაბორატორიის არარსებობა
- ცოდნის განახლებისა და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების გაცნობის სირთულე
- მედიკამენტების ხარისხის შესახებ მწირი ინფორმაცია
- ფალსიფიცირებული ხელოვნური ფიჭა
- ფუტკრის დაღუპვის გამომწვევი მიზეზების შესახებ კვალიფიციური კვლევის არარსებობა

აღსანიშნავია, რომ აჭარაში, კერძოდ, ბათუმში წარმატებით ფუნქციონირებს თაფლის შემგროვებელი კომპანია, რომელიც პარტნიორი მეფუტკრეებისგან იბარებს თაფლს, ლაბორატორიულ ანალიზს უკეთებს მას, ფუთავს და საკუთარ ბრენდის ქვეშ რეალიზაციას უწევს მაღაზიებში. მისი წლიური წარმადობა 3 ტონაა. აღნიშნული კომპანიის საქმიანობა, კოოპერაციის კარგი მაგალითია და ამ მოდელის ადაპტირება წარმატებით შეიძლება სხვა რეგიონებშიც. იმ პირობებში, როცა მეფუტკრეთა დიდი

უმრავლესობა საქართველოში მხოლოდ მცირე მეურნეობას განკარგავს, ეს გზა კარგი გამოსავალი იქნება საერთო პრობლემების მოგვარებისთვის, მათ შორის, ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიების პროცესში.



თაფლის ბაზარი ევროკავშირში

ევროკავშირის ბაზარი თაფლის თვალსაზრისით ერთ-ერთი მსხვილია მსოფლიოს მასშტაბით. მისი მოსახლეობა არამხოლოდ მაღალი მსყიდველუნარიანობით გამოირჩევა, არამედ თაფლის კარგი მომხარებელიც არის. ევროკავშირში თაფლის მოხმარების საშალო წლიური მაჩვენებელი 1 სულ მოსახლეზე 650 გრამს შეადგენს. მისი შიდა წარმოება საერთო საჭიროების 60 %-ს აკმაყოფილებს მხოლოდ, ხოლო დანარჩენი 40 % იმპორტირებულ თაფლზე მოდის, რაც დაახლოებით 150 000 ტონას შეადგენს (დაახ. 450 მლნ \$)¹.

ევროპელი მომხმარებელი უპირატესობას შედარებით მსუბუქ და ღია ფერის თაფლს ანიჭებს. ევროკავშირის წვერი ქვეყნების იმპორტი 2011 წლის მონაცემებით შემდეგნაირად გამოიყურება (მათ შორის შიდა ვაჭრობა)

¹ The honey and other bee products market in the EU: www.fepat.org.ar/files/eventos/759630.pdf


სახელმწიფო	ტონა
გერმანია	77,361
დიდი ბრიტანეთი	35,644
საფრანგეთი	27,153
ბელგია	21,055
ესპანეთი	20,655
იტალია	15,155
პოლონეთი	13,609
ჰოლანდია	11,960
ავსტრია	6,058
დანია	5,190
შვედეთი	4,062
საბერძნეთი	2,167
ირლანდია	1,943
ჩეხეთი	1,756
სლოვაკეთი	1,353
პორტუგალია	1,279
ფინეთი	1,234
რუმინეთი	1,067
სლოვენია	665
ლიტვა	610
ლატვია	482
კვიპროსი	312
ბულგარეთი	289
ესტონეთი	215
ლუქსემბურგი	151
მალტა	107

ხორვატია	104
უნგრეთი	93

ბოლო წლებში ჩინეთი გახდა ევროკავშირში თაფლის N1 იმპორტიორი. 2002-2004 წლებში ჩინური თაფლის იმპორტი აკრძალული იყო, მასში აღმოჩენილი ანტიბიოტიკების გამო: ქლორამფენიკოლი, სტრეპტომიცინი და ტეტრაციკლინი. მიზეზი, რის გამოც ქლორამფენიკოლი აღმოჩნდა ჩინურ თაფლში, იყო 1997-98 წლებში გავრცელებული ბაქტერიული ეპიდემია, რომელსაც ჩინელი მეფუტკრეები ებრძოდნენ ანტიბიოტიკებით. მისი ნარჩენები კი საბოლოოდ თაფლში იპოვეს. ჩინელებს აკრძალული თაფლი შეჰქონდათ მესამე ქვეყნებიდან აშშ-ში და ევროპაში, მისი ე.წ. ულტრა-გაფილტვრის გზით. ის იწმინდებოდა ყვავილის მტვრისგან, რაც არის თაფლის წარმოშობის დადგენის ერთადერთი საშუალება. 2004 წელს აკრძალვა გაუქმდა, ხოლო ჩინეთმა კონტროლი გაამკაცრა. ზოგადად, ჩინური თაფლი დაბალი ფასისა და ხარისხის კატეგორიას მიეკუთვნება და არა მაღალი ხარისხის ე.წ. მონოფლორალურ სეგმენტს.

² All Chinese honey is ordered off shelves: <http://www.dailymail.co.uk/health/article-101494/All-Chinese-honey-ordered-shelves.html>


ევროკავშირში თაფლის ყველაზე მსხვილი
იმპორტიორები



რიგით მე-2 იმპორტიორი არის არგენტინა, რომლის წილი ძალიან შემცირდა 2011 წლიდან, მას შემდეგ რაც ეჭვი გაჩნდა მასში გენმოდირებული ყვავილის მტვრის არსებობაზე. აკრძალვის პერიოდში, არგენტინული სახელით ევროკავშირში ასევე შედიოდა ჩინური თაფლი.

ზოგადად, თაფლს არ ახასიათებს მკვეთრი სეზონურობა, თუმცა ევროკავშირში შეიმჩნევა იმპორტის რამოდენიმე პიკური პერიოდი: მარტი, ივნისი და ოქტომბერი. ყოველთვიური იმპორტი მინ. 10 000 ტონაა.

თაფლის იმპორტი ევროკავშირში (ლურჯი)
ტონა, 2011 წელი



ზოგადად, მესამე ქვეყნებიდან ევროკავშირში თაფლის შეტანა იბეგრება 17,30 %-იანი ტარიფით. საქართველოს 2005 წლიდან ევროკავშირთან გააჩნდა GSP+ რეჟიმი, რომლის ფარგლებში ნატურალური თაფლი უბაჟოდ შედიოდა. დღეს კი, ეს პროცესი ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში რეგულირდება და მასზე კვლავაც ნულოვანი ტარიფი ვრცელდება. თუმცა ექსპორტს ხელს უშლის სტანდარტებთან დაკავშირებული ტექნიკური ბარიერები. მთავარი ბარიერი ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე მკაცრი საკონტროლო სისტემის არქონაა. ასევე დიდი პრობლემაა ქართული ლაბორატორიების ევროპული აკრედიტაციის არქონა, თუმცა როგორც საქართველოს მთავრობამ, ისე აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაიწყეს ამ საკითხზე მუშაობა და იგეგმება სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი გადაიარაღება და აკრედიტაცია, რათა მან შეძლოს ყველა საჭირო სერტიფიკატის გაცემა.

თაფლის ფასები, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია მის ხარისხზე. 1 კილოგრამი ჩინური თაფლის (თეთრი, ღია ყვითელი) საბითუმო ფასი (CIF) 2,10 \$-ის ფარგლებში მერყეობს, არგენტინულის 3,50\$-ის, მექსიკურის 4,00\$-მდე³.

ევროკავშირში იმპორტირებული თაფლის საშუალო CIF ფასები (აშშ დოლარი)			
	2008	2009	2010
ჩინური თეთრი	1,64	1,68	1,74
ჩინური ღია ყვითელი	1,61	1,66	1,73
მექსიკური	2,06	2,35	2,61
არგენტინული	2,16	2,32	2,59

ქართული თაფლი, სავარაუდოდ, ვერ შეძლებს იაფი პოლიფლორული თაფლისთვის კონკურენციის გაწევას, თუმცა ის მყარი პოზიციების მოპოვებას მოახერხებს მონოფლორული თაფლის ბაზარზე. განსაკუთრებით საინტერესოა აკაციის თაფლი, რომლის საბითუმო ფასი ევროპაში 5 ევროდან იწყება, ხოლო საცალო 15-20 ევროს აღწევს. ბიო-თაფლის ფასი 20 ევროდან იწყება.

ძირითადად, ევროკავშირში თაფლის მიწოდებისა და დისტრიბუციის 3 გზა მუშაობს:

1. იმპორტიორები თავად ფუთავენ თაფლს დიდი მარკეტებისთვის. ამ გზით, ძირითადად, ხდება პოლიფლორული ნატურალური თაფლის მიწოდება.
2. დაუფასოებელი თაფლი მიეწოდებათ მსხვილ კომპანიებს, რომლებსაც ისინი თავად ფუთავენ და კონკრეტული სამარკო ნიშნის ქვეშ ყიდნიან მაღაზიებში. ამ გზით შედის იაფი და დაბალი ხარისხის თაფლი.
3. იმპორტიორი ფუთავს თავად თაფლს და ყიდის მას საბითუმო ბაზარზე, საიდანაც დისტრიბუტორები მას ანაწილებენ სპეციალიზებულ მაღაზიებში.

³ The honey and other bee products market in the EU: www.fepat.org.ar/files/eventos/759630.pdf

ასეთ გზას ირჩევენ ბიო- ან მონოფლორული თაფლის მწარმოებლები, რომელთაც განსაკუთრებული ნიშა აქვთ.

იმპორტიორების უმრავლესობა თაფლის ტესტირებას, გაფილტვრას, შერევასა და შეფუთვას თავად ახორციელებს. ბიო-თაფლით ვაჭრობენ როგორც ტრადიციული, ისე სპეციალიზირებული კომპანიები, ე.წ. ტრეიდერები.


თაფლის შეფუთვა/ეტიკეტირებას 3 ჯგუფი ახორციელებს:

1. მწარმოებლები - მეფუტკრეები, რომლებიც თავად აწარმოებენ თაფლს, ფუთავენ და ყიდიან მას საკუთარი მარკის ქვეშ. ძირითადად, ისინი პირდაპირ ყიდიან კლიენტებზე და მათი ზომა, როგორც წესი, მცირეა.
2. კოოპერატივები - იბარებენ თაფლს საკუთარი წევრებიდან და ფუთავენ მას ერთი მარკით.
3. ე.წ. პაკერები (packers) - იბარებენ თაფლს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ და ყიდიან მას საკუთარი მარკის ქვეშ, ძირითადად, დიდ სუპერ-მარკეტებში.

თაფლის დაახ. 85% ევროკავშირის ბაზარზე იყიდება სუპერ-მარკეტების ქსელების საშუალებით. ბაზარზე დიდი გავლენა მათ აძლევთ საშუალებას მართონ ის და დააწესონ საკუთარი წესები. ისინი ხშირად საკუთარი მარკის ქვეშ ყიდიან პროდუქტს, თუმცა ასეთი თაფლი დაბალი ხარისხისაა ხოლმე. კომპანიებს, რომელთაც ხარისხზე პრეტენზია აქვთ, უფრო ხილდებიან საკუთარ სახელს და ცდილობენ გაზარდონ მისი ცნობადობა.

მაღალი ხარისხის პრემიუმ-კლასის თაფლი - მონოფლორული, ბიო და ა.შ. - გამოირჩევა მაღალი ფასით, თუმცა მისი წილი სუპერმარკეტების საერთო გაყიდვებში დაბალია. ისინი, ძირითადად, იყიდება სპეციალურ მაღაზიებში.

ევროკავშირში თაფლის იმპორტი თითქმის ყოველთვის სტანდარტული სქემით ხორციელდება, რომელიც რამდენიმე ეტაპისგან შედგება. (იხ. გრაფიკი)



როგორც გრაფიკიდან ჩანს, თაფლის მწარმოებელი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, უკავშირდება იმპორტიორ კომპანიას, რომელიც თაფლს აგროვებს, აფასობს და უკეთებს მას ეტიკეტირებას. თაფლის იმპორტიორები საქმიან ურთიერთობას იჭერენ, ძირითადად, საშუალო და მსხვილ მწარმოებლებთან (კოოპერატივებთან). გამოცდილება აჩვენებს, რომ ევროპული იმპორტიორი კომპანიებისთვის შესასყიდი თაფლის ოდენობა 10 ტონიდან იწყება, თუმცა ერთი გარიგების საშუალო მოცულობა 60 ტონაა.

თაფლით საბითუმო ვაჭრობის ცენტრები ხშირად განლაგებულია საპორტო ქალაქებში. მაგალითად, გერმანიაში -ჰამბურგი და ბრემენი, ბელგიაში ანტვერპენი, საიდანაც ხდება თაფლის შემდგომი რეექსპორტი დანარჩენ ქვეყნებში.

სპეციალიზირებული იმპორტიორი კომპანიებია:

Fuersten-reform (Germany - <http://www.fuersten-reform.de/>)

Rowse (United Kingdom - <http://www.rowsehoney.co.uk>)

Bernard Michaud (France - <http://www.lunedemiel.fr/>)

De Traay (the Netherlands – <http://www.detraay.com/>)

Meli (Belgium - <http://www.meli.be>)

იმპორტის რეგულაცია ევროკავშირში

მათ, ვისაც ევროკავშირში თავლის შეტანის სურვილი გააჩნია, უნდა დარწმუნდეს, რომ აკმაყოფილებს ევროპული რეგულაციების ყველა მოთხოვნას, ვინაიდან ევროპულ კანონმდებლობას გააჩნია სპეციალური მოთხოვნები დასახელებებთან, შემადგენლობასთან და ეტიკეტირებასთან დაკავშირებით.

რა არის საჭირო იმისთვის, რომ ექსპორტიორმა ევროკავშირში პოტენციური მყიდველი საკუთარი თავლის ხარისხში დაარწმუნოს? სანამ მყიდველი კონტრაქტს გააფორმებს, ის უნდა დარწმუნდეს, რომ თავლის ხარისხი შეესაბამება როგორც ევროკავშირის ზოგად მოთხოვნებს, ისე საკუთარ კრიტერიუმებს. ამისთვის მყიდველი მოითხოვს თავლის ქიმიური ანალიზის შესახებ დოკუმენტაციას, რომელიც უნდა ჩაატაროს ევროკავშირის მიერ აღიარებულმა ლაბორატორიამ.

მყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ექსპორტიორმა უნდა მოთხოვოს სურსათის ეროვნულ სააგენტოს ან სხვა უფლებმოსილ ორგანოს თავლის სინჯების აღება და ლაბორატორიაში გაგზავნა, სადაც თითოეული სინჯო დაილუქება და მიენიჭება შესაბამისი კოდი. ანალიზის დადებითი შედეგების შემთხვევაში, თავლის ნიმუშები მთლიან პარტიასთან ერთად გაგზავნება მყიდველს, რომელიც ადგილზე გადაამოწმებს მიღებულ დოკუმენტაციასა და თავლის შემადგენლობას. როგორც წესი, აღნიშნულ ანალიზებს საკმაოდ მაღალი ფასი აქვს, რისი გადახდაც მცირე მასშტაბის მწარმოებლებს/ექსპორტიორებს გაუჭირდებათ. ამიტომ სასურველია ამ კუთხით კოოპერაცია ხარჯების შემცირების მიზნით.

ზოგადად, ევროკავშირში თაფლის შეტანისთვის ექსპორტიორმა 3 პირობა უნდა დააკმაყოფილოს⁴:

ზოგადი წინაპირობები

- 1) *თაფლის წარმოშობის ქვეყანა უნდა იყოს ე.წ. მესამე ქვეყნების სიაში*
(საიდანაჯ ნებადართულია ამ პროდუქტის იმპორტი)

აღნიშნული სია იცვლება პერმანენტულად და 2014 წლის 12 ივნისის მდგომარეობით საქართველო მასში არ არის (იხილეთ [ბმული](#)). იმისთვის, რომ საქართველო მოხვდეს ამ სიაში, საჭირო მთავრობამ მთელი რიგი ღონისძიებები გაატაროს. პროცესი უკვე დაწყებულია და არსებობს იმის იმედი, რომ ის 2015 წლისთვის დასრულდება.

- 2) *თაფლს თან უნდა ახლდეს უვნებლობის შესაბამისი სერთიფიკატი*

თაფლის ყოველი პარტია უნდა იყოს შემოწმებული და თან ახლდეს უვნებლობის სერთიფიკატი გაცემული უფლებამოსილი ორგანოს მიერ. აღნიშნული დოკუმენტის ნიმუში იხ. [ბმულზე](#).

- 3) *თაფლის შეტანა უნდა განხორციელდეს ევროკავშირის საზღვარზე განთავსებული საკონტროლო პოსტის გავლით*

საკონტროლო-საინსპექციო პოსტებზე (EU Border Inspection Post) ვეტერინარები ამოწმებენ თაფლის ხარისხს. აღნიშნული პოსტების სია იხ. [ბმულზე](#).

⁴ EU legislation: Honey intended for human consumption: www.cbi.eu/marketintel/eu-legislation-honey-intended-for-human-consumption/159335

წარმოშობა, შემადგენლობა და ეტიკეტირება

4) ევროკავშირის კანონმდებლობა ადგენს თავლთან დაკავშირებულ შემდეგ დეფინიციებს:

თაფლი - ბუნებრივად ტკბილი ნივთიერება, პროდუქტი, რომელიც მიიღება მეთაფლია ფუტკრის (*Apis mellifera*) მიერ ყვავილის ნექტარის ან ცვარტკბილის შეგროვების, მისი გარდაქმნის, დეჰიდრატაციის (გაუწყლოების) და ფიჭაში მომწიფების მიზნით შენახვის შედეგად;

თაფლი ყვავილის ანუ თაფლი ნექტარის (blossom honey ან nectar honey) - თაფლი, მიღებული მცენარე(ებ)ის ყვავილის ნექტარისაგან;

თაფლი ცვარტკბილის/თაფლი მანანის (honeydew honey) - თაფლი, მიღებული ცვარტკბილისაგან;

ცვარტკბილი (honeydew) - ტკბილი სითხე, რომელიც გამოიყოფა მწერების (Hemiptera) მიერ მცენარის წვეწვანის გადამუშავებისას. ასევე ტკბილი სითხე, გამოყოფილი მცენარეების მიერ, არახელსაყრელი კლიმატური პირობებში, ფოთლებზე ან მცენარის სხვა ნაწილებზე;

თაფლი ფიჭის (comb honey) - თაფლი, ცვილისაგან დამზადებული მთლიანი, დაბეჭდილი ფიჭით ან ფიჭის ნაჭრები;

თაფლი ფიჭიანი (chunk honey or cut comb in honey) - თაფლი, ფიჭის ერთი ან რამოდენიმე ნაჭრით;

თაფლი გა(მო)წურული/დაწურული (drained honey), - თაფლი, მიღებული დაუბეჭდავი ფიჭის თვითდაწურვით;

თაფლი ექსტრაგირებული (extracted honey) - თაფლი, მიღებული დაუბეჭდავი ფიჭის ცენტრიფუგირებით;

თაფლი დაწნეხილი (დაპრესილი) (pressed honey) - თაფლი, მიღებული ფიჭის დაწნეხით (დაპრესვით) არაუმეტეს 45 ° C ტემპერატურაზე გაცხელებით ან გაცხელების გარეშე;

თაფლი გაფილტრული (filtered honey) - თაფლი, რომელსაც ფილტრაციის შედეგად მოცილებული აქვს ყვავილის მტვერის მნიშვნელოვანი რაოდენობა და უცხო წარმოშობის ორგანული და არაორგანული მინარევები;

თაფლი საკონდიტრო (მცხობელის) (Baker's honey) - თაფლი, რომელსაც აქვს უცხო გემო და სუნი, ან/და ფერმენტირებულია ან იწყებს ფერმენტაციას ან/და გაცხელებულია, სრულად ვერ აკმაყოფილებს ნატურალური თაფლის მახასიათებლებს და შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სამრეწველო მიზნებისთვის ან სურსათში ინგრედიენტის სახით;

თაფლი მონოფლორული - თაფლი, რომელსაც ფუტკარი ამზადებს მხოლოდ ერთი სახეობის მცენარის ყვავილის ნექტარისაგან;

თაფლი პოლიფლორული - რომელსაც ფუტკარი ამზადებს მხოლოდ სხვადასხვა სახეობის მცენარის ყვავილის ნექტარისაგან;

თაფლი შერეული - ყვავილის (ნექტარის) თაფლის და ცვარტკბილის თაფლის ბუნებრივი ნარევი.

5) თაფლის შემადგენლობა და მასთან დაკავშირებული მოთხოვნები

A. შაქრის შემცველობა - ფრუქტოზის და გლუკოზის ჯამური (საერთო) რაოდენობა (გ/100გ)

- I. ყვავილის (ნექტარის) თაფლი - არანაკლებ 60 გ/100 გ-ში;
- II. ცვარტკბილის თაფლი, ცვარტკბილის და ყვავილის (ნექტარის) თაფლის ნარევი (შერეული თაფლი) - არანაკლებ 45 გ/100 გ-ში;

B. საქაროზის შემცველობა (გ/100გ)

- I. ზოგადად არაუმეტეს 5გ/100გ-ში;
- II. მცენარეების - ციტრუსების (Citrus spp.), ცრუაკაციის (Robinia pseudoacacia), ჩვეულებრივი იონჯის (Medicago Sativa), მენზის ბანკსიას (Banksia menziesii), ფრანგული

ცხრატყავას (French honeysuckle), Hedysarum), ავსტრალიური ევკალიპტის - წითელი გუმფისის (Eucalyptus camadulensis), ევკრიფიას (Eucryphia lucida, Eucryphia milliganii) ყვავილებიდან მიღებულ თაფლში - არაუმეტეს 10 გ/100 გ-ში;

III. მცენარეების - ლავანდის (Lavandula spp.), კიტრისუნას (Borago officinalis), ყვავილებიდან მიღებულ თაფლში - არაუმეტეს 15 გ/100 გ-ში;

C. სინესტის მასური წილი (%)

- I. ყველა სახეობის თაფლისათვის, გარდა მცენარე მანანას თაფლისა - არაუმეტეს 20%;
- II. მცენარე მანანას (Calluna) თაფლისათვის - არაუმეტეს 23%;
- III. საკონდიტრო (მცხობელის) თაფლი მცენარე მანანასგან - არაუმეტეს 25%;

D. წყალში უხსნადი მყარი ნაწილაკები (გ/100გ)

- I. თაფლის ყველა სახეობისათვის, გარდა დაწნეხილი თაფლისა - 0,1გ/100გ
- II. დაწნეხილი თაფლისათვის - 0,5/100გ

E. ელექტროგამტარობა (მილისიმენსი/სმ - მლს/სმ)

- I. თაფლის ყველა სახეობისათვის და მათი ნარევისათვის გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ე.ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი თაფლის სახეობისათვის - არაუმეტეს 0,8 მლს/სმ;
- II. ცვარტკბილის და წაბლის ყვავილიდან მიღებული თაფლისათვის, ასევე მათი ნარევისათვის, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტით დადგენილი თაფლის სახეობისათვის - არაუმეტეს 0,8 მლს/სმ.

F. თავისუფალი მჟავიანობა

- I. თაფლის ყველა სახეობისათვის - არაუმეტეს 50 მილიექვივალენტი მჟავისა ყოველ 1000 გ თაფლში;
- II. საკონდიტრო (მცხობელის) თაფლისათვის - არაუმეტეს 80 მილიექვივალენტი მჟავისა ყოველ 1000 გ თაფლში;

G. დიასტაზური (ამილაზური) აქტივობა და ჰიდროქსილმეთილფურფურალი (ჰმფ) - დიასტაზური (ამილაზური) აქტივობისა და ჰიდროქსილმეთილფურფურალის განსაზღვრა ხდება დამუშავებისა და შერევის შემდეგ.

დიასტაზური (ამილოლიზური) აქტივობა (შადეს შკალის მიხედვით):

- I. ყველა სახეობის თაფლისათვის, გარდა საკონდიტრო თაფლისა - არანაკლებ 8;
- II. თაფლისათვის, რომელიც ბუნებრივი ფერმენტების ნაკლებ რაოდენობას შეიცავს (მაგ. ციტრუსის თაფლი) და მასში ჰიდროქსილმეთილფურფურალის (ჰმფ) შემცველობა არ აღემატება 15 მგ/კგ-ზე - არანაკლებ 3;
- III. ჰიდროქსილმეთილფურფურალი (ჰმფ) – (მგ/კგ) ყველა სახეობის თაფლისათვის, გარდა საკონდიტრო თაფლისა - არაუმეტეს 40 მგ/კგ („ზ.ა.ბ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით)
- IV. თაფლი, რომელიც წარმოშობილია ტროპიკული კლიმატის ზონიდან და მათი ნარევისათვის - არაუმეტეს 80 მგ/კგ.

3) ეტიკეტირების მოთხოვნები

- ზემოთ ჩამოთვლილ თაფლის სახეობებს შეიძლება ეწოდოს „თაფლი“, გარდა გაფილტრული, ფიჭის, ფიჭიანი და საკონდიტრო თაფლისა;
- საკონდიტრო (მცხობელის) თაფლის ეტიკეტზე, პროდუქტის დასახელებასთან ახლოს უნდა მიეთითოს სიტყვები: „განკუთვნილია მხოლოდ საკონდიტრო წარმოებისათვის“;

- წარმოშობის ქვეყანა აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული ეტიკეტზე.

თაფლში ნარჩენების მაქსიმალური ზღვარი (*Maximum residue limits (MRLs)*)

მეფუტკრეებმა უნდა გამოიყენონ მხოლოდ რეგისტრირებული ვეტერინარული პრეპარატები, ხოლო მათი ნარჩენების მაქსიმალური რაოდენობა თაფლში უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ ცხრილს:

ნარჩენები	მაქსიმალური ზღვარი
1. Amitraz (Tactic, Apivarol)	0,2 მგ/კგ
2. Chloramphenicol	0
3. Chloroform	0
4. Chlorpromazine	0
5. Colchicine	0
6. Coumaphos (Perizin)	0,1 მგ/კგ
7. Dapsone	0
8. Dimetridazole	0
9. Flumethrin (Bayvarol)	არაა შეწლუდული
10. Metronidazole	0
11. Nitrofurans (furazolidone)	0
12. Oxalic acid	არაა შეწლუდული

ვაროატოზზე მკურნალობისთვის ევროკავშირში შემდეგი პრეპარატებია ნებადართული: Apistan, Apitol, Perizin, Apivar, Thymol, Apiguard, Bayvarol, Folbex, ApilifeVAR, Illertisser mite plate, Krämer plate, Thymova, Mite Away Quick Strips MAQS

ევროკავშირის კანონმდებლობა ასევე ავალდებულებს მეფუტკრეს გამოიყენოს მხოლოდ რეგისტრირებული პესტიციდები. პესტიციდების სრული სია მოცემულია შემდეგ [ბმულზე](#)⁵.

თაფლის წარმოების ფინანსური ასპექტები

როგორც მთელ მსოფლიოში, ისე საქართველოში მეფუტკრეობას, ძირითადად, ჰობის სახე აქვს. მაგალითად, აშშ-ში დაახლ. 200.000 მეფუტკრეა, რომელთაგან უმეტესობას 25 ოჯახზე ნაკლები ჰყავს. კომერციულ მეფუტკრეობად კი ითვლება ის მეურნეობები, რომელთაც 300 ოჯახზე მეტი გააჩნიათ. ისინი ხშირად ეწევიან მომთაბარეობას არა მხოლოდ იმისთვის, რომ გააუმჯობესონ თაფლის ხარისხი და რაოდენობა, არამედ ფერმერებს სთავაზობენ ე.წ. დამტკვერვის მომსახურებასაც, რაც მებაღეობაში მოსავლიანობის გაზრდის კარგი საშუალებაა.



საქართველოში უკვე შეინიშნება ამ დარგის ინდუსტრიალიზაციის ნიშნები. შეიქმნა როგორც დიდი მეურნეობები, ისე თაფლის შემგროვებელი პუნქტები. მაღაზიებში გამოჩნდა თაფლის სხვადასხვა ბრენდი, რომლებიც ნელ-ნელა იძენენ

⁵ http://ec.europa.eu/sanco_pesticides/public/?event=substance.selection

მომხმარებელთა ნდობას. მიუხედავად ამისა, პროცესი ჯერ-ჯერობით საწყის სტადიაშია და მას გრძელი გზა აქვს გასავლელი.

იმისთვის, რომ აღნიშნული საქმიანობა იყოს რენტაბელური და მასში ინვესტიციის ჩადება საინტერესო, სასურველია გარკვეული მასშტაბების მიღწევა. თუ მწარმოებელს პროდუქციის ექსპორტი აქვს მიზნად დასახული, მაშინ მისმა წლიურმა წარმადობამ მინიმუმ 10 ტონა მაინც უნდა შეადგინოს. ევროპელი იმპორტიორები სწორედ ამ რაოდენობიდან იწყებენ ბიზნესურთიერთობას თავლის მწარმოებლებთან. ასეთი შედეგის მისაღწევად კი, ფუტკრის მინიმუმ 200 ოჯახის ყოლაა საჭირო, რასაც შეიძლება ვუწოდოთ მეურნეობის საშუალო ზომა.

აღნიშნული ზომის მეურნეობის მოწყობისთვის შემდეგი სახის ინვესტიცია იქნება საჭირო⁶:

ძირითადი ხარჯები

№	ხარჯების სახე	ზომის ერთეული	რაოდენობა	ღირებულება (ლარი)	სულ 1 ოჯახი	სულ 200 ოჯახი
სკის ხარჯი						
1	კორპუსი	ცალი	1	85	85	17000
2	ჩარჩო	ცალი	24	0,6	15	3000
3	ფიჭა (ე.წ ხარისხიანი)	ცალი	24	1,5	36	7200
5	მავთული				1	200
სულ					137	27 400
საჭირო ინვენტარი						
1	სპეც ტანსაცმელი	ცალი	1	15	15	

⁶ ინფორმაცია მიღებულია პრაქტიკოსი მეფუტკრეებისგან

2	საკვამური	ცალი	1	15	15
3	„სტამესკა“	ცალი	1	5	5
4	ფიჭის ასათლელი დანა	ცალი	1	20	20
5	ფუტკრის ჩასაფერთხი ჩოთქი	ცალი	1	5	5
6	ციბრუტი	ცალი	1	450	450
7	თაფლის შესანახი ჭურჭელი (ე.წ. ნერჟავეიკა“) ⁷	ცალი	1	50	50
8	დიაკოლი (ე.წ. რამკის სახრეტი)	ცალი	1	25	25
სულ:					585 ლარი

ფუტკრის ოჯახი

	რაოდენობა	ღირებულება	ღირებულება 200 ოჯახი
ე.წ ძლიერი ოჯახი	12	200	40 000 ლარი

მიმდინარე ხარჯები

№	ხარჯების სახე	ზომის ერთეული	რაოდენობა	ღირებულება (ლარი)	სულ	200 ოჯახზე
კვების, მოვლისა და დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებები გაზაფხული						
1	სიროპის მიცემა	ლიტრი	10	1,5	15	3000
2	დაავადებების საწინააღმდეგო				10	2000

⁷ 45 კილოგრამიანი მოცულობის ჭურჭელი.

ანტიბიოტიკები						
შემოდგომა						
1	სიროპის მიცემა	ლიტრი	10	1,5	15	3000
2	დაავადებების საწინააღმდეგო ანტიბიოტიკები				10	2000
ზამთარი						
1	დაავადებების საწინააღმდეგო ანტიბიოტიკები				10	2000
ფუტკრის გადაყვანა მთაში						
1	ტრანსპორტირების ხარჯი	კმ	50	1,5	75	1000

აღნიშნული გაანგარიშებით, 200 ოჯახზე წლიური მიმდინარე ხარჯი 13 000 ლარს შეადგენს. თაფლის თვითღირებულებამ მიმდინარე ხარჯებისა და წარმადობის გათვალისწინებით შემდეგი ოდენობა შეიძლება შეადგინოს

პროდუქტიულობა 1 ოჯახი	1 კგ თაფლის თვითღირებულება
20 კგ	3,25 ლ.
30 კგ	2,16 ლ.
40 კგ	1,63 ლ.
50 კგ	1,30 ლ.

პროდუქტიულობის ასეთი მაჩვენებელი ბევრი მეფუტკრისთვის შეიძლება არარეალისტური იყოს, თუმცა საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ ფუტკრის ოჯახების კარგი მენეჯმენტის შემთხვევაში მსგავსი შედეგის მიღება სრულიად შესაძლებელია. ამაზე მეტყველებს აჭარის რეგიონში ჩატარებული გამოკითხვაც, რომლის მიხედვით თაფლის 30 მწარმოებელიდან 9 მათგანმა ფუტკრის ერთი ოჯახის წლიური საშუალო წარმადობად 30-35 კგ დაასახელა. ობიექტურობისთვის უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფუტკრის პროდუქტიულობა გარემო პირობებსა და ბუნებაზეც დიდადაა დამოკიდებული. მაგალითად, 2011 წელს დიდ ბრიტანეთში წვიმამ და დაბალმა ტემპერატურამ მთელი ქვეყნის მასშტაბით ფუტკრის ოჯახების პროდუქტიულობა 72 %-ით შეამცირა.

მეფუტკრეობის თანამედროვე მიღწევები საშუალებას იძლევა მინიმუმადე იქნეს დაყვანილი მეფუტკრის შრომა, რაც თავისთავად აიაფებს თაფლის წარმოებას. მეფუტკრეობის სახელმძღვანელოებში ხშირად საუბარია ნაყრობის საწინააღმდეგო ღონისძიებებზე, მაგრამ ეს საკმაოდ შრომატევადი პროცესია, განსაკუთრებით, დიდ საფუტკრეებში. ნაყრობას უწოდებენ ახალი ოჯახის წარმოქმნას ძველი ოჯახის ნორმალური დაყოფის შედეგად, აგრეთვე სხვადასხვა მიზეზით ოჯახის გადასახლებას. ამიტომ თანამედროვე სისტემების მიხედვით, არ ებრძვიან ნაყრიანობას და ნაყრებს იყენებენ როგორც ჩარჩოების ასაშენებლად, ისე თაფლის შესაგროვებლად. ამასთან ერთად ცდილობენ საფუტკრეებში იყოლიონ ნაყრიანობისადმი მიდრეკილების მქონე ფუტკრის ოჯახები. ამისთვის ახდენენ მონაყრე ოჯახების გამოწუნებას, ამრავლებენ მხოლოდ ძლიერ, მაღალპროდუქტიულ ოჯახებს, რომლებსაც არ აქვთ მიდრეკილება ნაყრიანობისკენ. ამასთან აძლევენ საკმაოდ ბევრს ჩარჩოს ხელოვნური ფიჭით შენებისთვის, ცვლიან ყოველწლიურად დედებს და წინასწარ აფართოებენ ბუდეს. ღალიანობის დროს თაფლს არ იღებენ (ელოდებიან მის დასრულებას). ამით მეფუტკრეს უმცირდება სამუშაო და არც ფუტკარს ეშლება ხელი მუშაობაში. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ღალიანობის დროს

თაფლის ამოღება მეფუტკრესაც მძიმე ტვირთად აწვება. ამასთან თაფლის მომწიფებაც ზოგჯერ არ შეესაბამება სტანდარტს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა თაფლის ტექნიკური რეგლამენტი⁸, რომელიც, პროექტის მიხედვით, დაადგენს მოთხოვნებს ნატურალური თაფლის მიმართ და მოაწესრიგებს ურთიერთობებს ბიზნესოპერატორებს, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსა და მომხმარებელთა შორის. ბიზნესოპერატორები ვალდებული იქნებიან აწარმოონ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული ნატურალური თაფლი და ბაზარზე განათავსონ აღნიშნული რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. რეგულირების ობიექტი იქნება საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული თაფლი, მათ შორის:

- ა) ყვავილის ანუ ნექტარის თაფლი;
- ბ) ცვარტკბილის თაფლი;
- გ) შერეული თაფლი.

ბაზარზე განთავსებული თაფლი მიღებული უნდა იქნეს ჯანმრთელი ფუტკრისგან და გამოდიოდეს ფუტკრის ინფექციური დაავადებების მხრივ კეთილსაიმედო მეურნეობიდან (რეგიონიდან). საკონდიტრო (მცხობელის) თაფლის ეტიკეტზე, პროდუქტის დასახელებასთან ახლოს უნდა მიეთითოს სიტყვები: „განკუთვნილია მხოლოდ საკონდიტრო წარმოებისათვის“.

პროექტის მიხედვით, აიკრძალება ბაზარზე განთავსებულ თაფლში საკვებდანამატების და სხვა საკვები ინგრედიენტების დამატება. მას არ უნდა ჰქონდეს უცხო სუნი და გემო, რომელიც წარმოიქმნება შენახვის და გადამუშავების დროს. თაფლი არ უნდა დაექვემდებაროს ფერმენტაციასა და დუღილს. თაფლში არსებულ ბუნებრივ ფერმენტებს შენარჩუნებული უნდა ჰქონდეს ფერმენტული

⁸ <http://nfa.gov.ge/files/docx.pdf>

აქტივობა. დაუშვებელი იქნება თაფლიდან ყვავილის მტვერის ან სხვა შემადგენელი კომპონენტის მოცილება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტვერის ან სხვა შემადგენელი კომპონენტის მოცილება განპირობებულია მასში მოხვედრილი უცხო არაორგანული და ორგანული ნივთიერებების მოცილების აუცილებლობით. დაუშვებელი იქნება თაფლის მჟავიანობის ხელოვნურად შეცვლა და გამოკრისტალებული თაფლის ქიმიური და ბიოქიმიური მეთოდებით დამუშავება. თაფლი, რომელიც განთავსებული იქნება ბაზარზე ადამიანის მიერ სურსათად მოხმარებისათვის, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) შაქრის შემცველობა - ფრუქტოზის და გლუკოზის ჯამური (საერთო) რაოდენობა (გ/100გ)

ა.ა) ყვავილის (ნექტარის) თაფლი - არანაკლებ 60 გ/100 გ-ში;

ა.ბ) ცვარტკბილის თაფლი, ცვარტკბილის და ყვავილის (ნექტარის) თაფლის ნარევი (შერეული თაფლი) - არანაკლებ 45 გ/100 გ-ში;

ბ) საქაროზის შემცველობა (გ/100გ) -

ბ.ა) ყველა სახეობის თაფლში, გარდა ამ მუხლის „ბ“ პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტში მითითებული მცენარეების ყვავილიდან მიღებული თაფლისა - საერთო რაოდენობა - არაუმეტეს 5გ/100გ-ში;

ბ.ბ) მცენარეების - ციტრუსების (*Citrus spp.*), ცრუაკაციის (*Robinia pseudoacacia*), ჩვეულებრივი იონჯის (*Medicago Sativa*), მენზის ბანკსიას (*Banksia menziesii*), ფრანგული ცხრატყავას (*French honeysuckle*), *Hedysarum*), ავსტრალიური ევკალიპტის - წითელი გუმფისის (*Eucalyptus camadulensis*), ევკრიფიას (*Eucryphia lucida*, *Eucryphia milliganii*) ყვავილებიდან მიღებულ თაფლში - არაუმეტეს 10 გ/100 გ-ში;

ბ.გ) მცენარეების - ლავანდის (*Lavandula spp.*), კიტრისუნას (*Borago officinalis*), ყვავილებიდან მიღებულ თაფლში - არაუმეტეს 15 გ/100 გ-ში;

გ) სინესტის მასური წილი (%)

გ.ა) ყველა სახეობის თაფლისათვის, გარდა მცენარე მანანას თაფლისა - არაუმეტეს 20%;

გ.ბ) მცენარე მანანას (*Calluna*) თაფლისათვის - არაუმეტეს 23%;

გ.დ) საკონდიტრო (მცხობელის) თაფლი მცენარე მანანასგან - არაუმეტეს 25%;

დ) წყალში უხსნადი მყარი ნაწილაკები (გ/100გ)

დ.ა) თაფლის ყველა სახეობისათვის, გარდა დაწნეხილი თაფლისა - 0,1გ/100გ

დ.ბ) დაწნეხილი თაფლისათვის - 0,5/100გ

ე) ელექტროგამტარობა (მილისიმენსი/სმ - მლს/სმ)

ე.ა) თაფლის ყველა სახეობისათვის და მათი ნარევისათვის გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ე.ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი თაფლის სახეობისათვის - არაუმეტეს 0,8 მლს/სმ;

ე.ბ) ცვარტკბილის და წაბლის ყვავილიდან მიღებული თაფლისათვის, ასევე მათი ნარევისათვის, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტით დადგენილი თაფლის სახეობისათვის - არაუმეტეს 0,8 მლს/სმ;

ე.გ) თაფლი, რომელიც მიღებულია შემდეგი მცენარეების ყვავილიდან:

- ხემარწყვა (*Arbutus unedo*), მოლურჯო მანანა (*Erica*), ევკალიპტი (*Eucalyptus*), ცაცხვი (*Tilia spp.*), ჩვეულებრივი მანანა (*Calluna vulgaris*), მანუკა ანუ ჩაის ხე (*Melaleuca spp.*),

ვ) თავისუფალი მჟავიანობა

ვ.ა) თაფლის ყველა სახეობისათვის - არაუმეტეს 50 მილიექვივალენტი მჟავისა ყოველ 1000 გ თაფლში;

ვ.ბ) საკონდიტრო (მცხობელის) თაფლისათვის - არაუმეტეს 80 მილიექვივალენტი მჟავისა ყოველ 1000 გ თაფლში;

ზ) დიასტაზური (ამილაზური) აქტივობა და ჰიდროქსილმეთილფურფურალი (ჰმფ) - დიასტაზური (ამილაზური) აქტივობისა და ჰიდროქსილმეთილფურფურალის განსაზღვრა ხდება დამუშავებისა და შერევის შემდეგ.

ზ.ა) დიასტაზური (ამილოლიზური) აქტივობა (შადეს შკალის მიხედვით):

ზ.ა.ა) ყველა სახეობის თაფლისათვის, გარდა საკონდიტრო თაფლისა - არანაკლებ 8;

ზ.ა.ბ) თაფლისათვის, რომელიც ბუნებრივი ფერმენტების ნაკლებ რაოდენობას შეიცავს (მაგ. ციტრუსის თაფლი) და მასში ჰიდროქსილმეთილფურფურალის (ჰმფ) შემცველობა არ აღემატება 15 მგ/კგ-ზე - არანაკლებ 3;

ზ.ბ) ჰიდროქსილმეთილფურფურალი (ჰმფ) – (მგ/კგ)

ზ.ბ.ა) ყველა სახეობის თაფლისათვის, გარდა საკონდიტრო თაფლისა - არაუმეტეს 40 მგ/კგ („ზ.ა.ბ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით);

ზ.ბ.ბ) თაფლი, რომელიც წარმოშობილია ტროპიკული კლიმატის ზონიდან და მათი ნარევისათვის - არაუმეტეს 80 მგ/კგ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Hedberg Magnus, *Assessing the Export Potential of Bosnian and Herzegovinian Honey to the European Union*, 2012;
2. The World Market for Honey: <http://www.ethiopia-ciafs.org>, თარიღი: 15.10.14;
3. Lord William, *Armenian Honey, Prepared for: DAI-Armenian SME Market Development Project*, 2010;
4. ქავთარაძე ნატა, *საქართველოში თაფლის წარმოების დარგის შესწავლა*, 2009;
5. The honey and other bee products market in the EU: www.fepat.org.ar/files/eventos/759630.pdf, თარიღი: 15.10.14;
6. All Chinese honey is ordered off shelves: www.dailymail.co.uk/health/article-101494/All-Chinese-honey-ordered-shelves.html, თარიღი: 15.10.14;
7. EU legislation: *Honey intended for human consumption*: www.cbi.eu/marketintel/eu-legislation-honey-intended-for-human-consumption/159335 თარიღი: 15.10.14;

8. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო: *ტექნიკური რეგლამენტი თაფლის შესახებ* (პროექტი), თარიღი: 15.10.14;
9. CBI Market Information Database: *Trade structure and channels for honey*, www.cbi.eu/disclaimer თარიღი: 15.10.14;
10. CBI Market Information Database: *EU legislation: Honey intended for human consumption*, www.cbi.eu/disclaimer თარიღი: 15.10.14;
11. REGULATION (EC) NO 396/2005 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 23 February 2005 on maximum residue levels of pesticides in or on food and feed of plant and animal origin and amending Council Directive 91/414/EEC: www.faolex.fao.org, თარიღი: 15.10.14